

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფელ თხინვალის
მაჟორიტარი დეპუტატის ვალერი ჩხაიძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის
შესახებ

ანგარიში

მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარე, კოლეგებო და ძვირფასო ამომრჩევლებო...
წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს ს
88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის
ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი
ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის
განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკრებულოს წევრი გავხდი პარტია „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით.

2018 წელს მონაწილეობა მივიღე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომებში, რომელზედაც მიღებული იქნა 60-ნორმატიულ სამართლებრივი აქტი -
დადგენილება და 91 -ინდივიდუალური აქტი განკარგულება. ადგილობრივი
თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული
მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას
განხორციელებდი საკრებულოს 2 -რ მუდმივმოქმედ კომისიებში:

1. აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისია.
2. სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.
დავესწარი კომისიების სხდომებს 29-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“-ს 8 სხდომას. მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო
ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 1 შეხვედრაში.
როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან)
თოველთვიური გრაფიკის შესაბამისად, (25შეხვედრა). ასევე ყოველთვიური
გრაფიკით დაგეგმილი მიღებები სოფელ თხინვალში (33-ჯერ). მოთხოვნები
ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას. რაც ჩემს
კომპეტენციას განეკუთვნებოდა დაკმაყოფილდა. სოფელ თხინვალში დაიგო ბეტონის
საფარიანი გზა 1.5 კმ. მანძილზე. დაიხურა დაზიანებული სახლის სახურავი.
საჭროებისამებრ მოიხრეშა გზები,მოქალაქეებს გაეწიათ ერთჯერადი ფულადი
მედიკამენტური და საოპერაციო დახმარება.

აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივ აქტების
განხილვა-დამტკიცებაში კერძოდ: --- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის
ბიუჯეტის დამტკიცების.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს. მე, როგორც საკრებულოს წევრი, ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას, როგორც საკრებულოში ასევე ამომრჩეველთან.

საკრებულოს წევრი სოფელ თხინვალის
მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი ჩხაიძე

22. თებერვალი 2019 წელი.